



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

"დამტკიცებულია"

რექტორი გიორგი ღავთაძე

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N

— ————— 2011 წელი

"დამტკიცებულია"

დეკანი ასოც. პროფ. ზ. არქანია

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N3

22 იანვარი 2011 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი

მეოთხე საფეხური

ქუთაისი
2011

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი - 040766

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

პროგრამის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ამირან გრეგვაძე**
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 595 46-54-13
E-mail: amiranibgrgvadze@gmail.com

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი) სულ 1500 საათი.
მათ შორის: თეორიულ კომპონენტს ეთმობა - 24 კრედიტი (600 სთ.).
პრაქტიკის კომპონენტს - 36 კრედიტი (900 სთ.).

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამის IV საფეხურზე ჩარიცხვა მოხდება ამ პროგრამის III საფეხურის დიპლომით ან ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სატრანსპორტო ფირმების IV საფეხურის ლოჯისტიკის ოპერატორი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ლოჯისტიკური პროცესების დაგეგმვა და მართვა, სამუშაოთა განხორციელება პირადი ხელმძღვანელობის ქვეშ: გადაზიდვების მართვის ლოჯისტიკური უზრუნველყოფა ყველა სახის ტრანსპორტზე, ოპერატიული სიტუაციების შეფასება და გადაჭრა, პროცესების ანალიზის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება. პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია: საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავი, ექსპედიტორული და ლოჯისტიკური ფირმები; სატრანსპორტო საშუალებების საფირმო მომსახურების ცენტრები, საზღვაო სააგენტო ფირმები; საზღვაო ნავსადგურები.

დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი - არის ლოჯისტიკური სამსახურის პერსონალი, რომელიც მუშაობს ლოჯისტიკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მეთვალყურეობის ქვეშ. ოპერატორის პროფესიული საქმიანობის ობიექტებს მიეკუთვნება სატრანსპორტო საექსპედიციო და საექსპედიციო ფირმები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოჯისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუციო ფირმები, გამანაწილებელი და ლოჯისტიკური ცენტრები, სააგენტო ფირმები, საბაჟო სისტემის საწარმოები, პორტები, აეროპორტები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები.

VII. სწავლის შედეგი:

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>მისი ცოდნა ეფუძნება სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში ევროკავშირის, TRASECA-ს სატრანსპორტო სფეროსა და საქართველოს რეალობაში არსებულ გამოკვლევებსა და ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებში მიღებულ მეთოდოლოგიას, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის მსოფლიოში აღიარებულ გზებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრის, ლოგისტიკური პროცესების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს ლოგისტიკური სტრატეგიები წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები სამუშაოს შესრულების მიზნით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური ლოგისტიკური პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მენიერული მიდგომების შემუშავება სისტემური მიდგომის ანალიზისა და რთული სისტემების სინთეზის მეთოდების და იმიტაციური მოდელების გამოყენებით, ალტერნატიული შესაძლებლობების, მიღებული შედეგების განხილვა და შეფასება მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული კრიტერიუმებისა და მეთოდების გამოყენებით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად საბაზრო და საწარმოო სიტუაციებში. შესწევს უნარი დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მათი საერთაშორისო სტანდარტები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებულ პროფესიული ინფორმაციის დამუშავება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის მიმართულებები და ლოგისტიკური პროცესების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში ათვისოს პრობლემების გადაჭრის განსხვავებული მეთოდები.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. ამასთან, სპეციფიკური ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრისას არის დისციპლინირებული, პუნქტუალური და იცავს ეთიკის ნორმებს.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსები /მოდულები/პრაქტიკა	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	×	×			×	
კომპიუტერული ტექნოლოგიები	×	×	×	×	×	
ინგლისური ენა (სპეც. ინგლისური)	×	×		×		
ლოგისტიკის საფუძვლები	×	×		×		×
ტექნიკური მექანიკა	×				×	
ლოგისტიკური მენეჯმენტი	×	×	×			
საზღვაო ტრანსპორტი	×	×	×			
სატრანსპორტო ლოგისტიკა	×	×		×		×
სატრანსპორტო– ლოგისტიკური კომპლექსები	×	×	×			
საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურების საფუძვლები	×	×		×		×
სასწავლო პრაქტიკა	×	×	×	×		×
საწარმოო პრაქტიკა						

სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი – IV

IX. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსების /მოდულები/პრაქტიკა	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა													
			I სემესტრი							II სემესტრი						
			კრედიტი	საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა	კრედიტი	საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	შუალედური დასკვნითი/პრაქტიკის შეფასება				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური დასკვნითი/პრაქტიკის შეფასება		
1	მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	2,5	2,5	6/18			3	35,5	62,5							
2	კომპიუტერული ტექნოლოგიები	2,5	2,5		24		3	35,5	62,5							
3	ინგლისური ენა (სპეც. ინგლისური)	2,5	2,5	0/30			3	29,5	62,5							
4	ლოგისტიკის საფუძვლები	2	2	6/18			3	23	50							
5	ტექნიკური მექანიკა	2,5	2,5	6/18			3	35,5	62,5							
6	ლოგისტიკური მენეჯმენტი	2,5								2,5	8/16		3	35,5	62,5	
7	საზღვაო ტრანსპორტი	2,5	2,5	6/18			3	35,5	62,5							
8	სატრანსპორტო ლოგისტიკა	2,5								2,5	8/20		3	31,5	62,5	
9	სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსები	2								2	4/20		3	23	50	
10	საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურების საფუძვლები	2,5								2,5	8/16		3	35,5	62,5	
11	პრაქტიკა	36														
	ა) სასწავლო პრაქტიკა		15,5			383,5	4		387,5							
	ბ) საწარმოო პრაქტიკა									20,5			508,4	4		512,5
	სულ:	60	30	24/102	24	383,5	22	194,5	750	30	28/72		508,5	16	125,5	750

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს;

- ლექციაზე დასწრებას/ სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის **დადებით შეფასებას**:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- 70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის **უარყოფით შეფასებას**:

• (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

• (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მათემატიკა (ალბათობის თეორიისა და მოდელირების ელემენტებით)	ა. ბრეგვაძე	ასოც. პროფ.
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ნ. დარასელია	ასისტ. პროფ.
ინგლისური ენა (სპეც. ინგლისური)	ნ. გაგუა	მასწავლებელი
ლოგისტიკის საფუძვლები	ლ. სიჭინავა	ასისტ. პროფ.
ტექნიკური მექანიკა	ზ. არქანია	ასოც. პროფ.
ლოგისტიკური მენეჯმენტი	მ. ფხაკაძე	ასოც. პროფ.
საზღვაო ტრანსპორტი	ვ. საღინაძე	სრული პროფ.
სატრანსპორტო ლოგისტიკა	ლ. სიჭინავა	ასისტ. პროფ.
სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსები	მ. ფხაკაძე	ასოც. პროფ.
საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურების საფუძვლები	თ. ჭანტურია	ასისტ. პროფ.
სასწავლო პრაქტიკა	ვ. საღინაძე ა. ბრეგვაძე	სრული პროფ. ასოც. პროფ.
საწარმოო პრაქტიკა		

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

აწუ-ს საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე ლოგისტიკის ოპერატორის პროფესიული სწავლებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შედგება :

1. ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრი.
2. სასწავლო პრაქტიკის აუდიტორია.

XV. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

პროფესიული სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლა. იგი ითვალისწინებს შემენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროფესიული სტუდენტები სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გაივლიან მაღალი სტატუსის მქონე საწარმოში (შ.პ.ს „ლოჯისტიკა“; სატრანსპორტო კომპანია შ.პ.ს. „კავტრექსი ფოთი“; სატრანსპორტო კომპანია შ.პ.ს. „ბლექ სი ტრანსპორტ“; სატრანსპორტო კომპანია შ.პ.ს. „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთი“). ყველა პრაქტიკანტს ადგილზე ყავს კონსულტანტი და უნივერსიტეტიდან მიმავრებული ლექტორი.

პრაქტიკის გავლის შემდეგ იწერება ანგარიში. საწარმოო პრაქტიკის პროგრამა შეიცავს სპეციალისტის პროფესიონალად ჩამოყალიბების ძირითად ამოცანებს, რომლის განხორციელებაც

აისახება შემაჯამებელ პრაქტიკის ანგარიშში. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს თან ერთვის ამ ორგანიზაციის მენეჯერის დახასიათება.

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის წამატებულად დამთავრების შემდეგ მას საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა პროფესიული პროგრამის სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურზე.